საქართველოს პროკურატურა

2024 წლის საქმიანობის ანგარიში

WWW.POG.GOV.GE

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 1
სისხლისსამართლებრივი დევნა 1
სრულწლოვანთა განრიდება 8
აღკვეთის ღონისძიებები 11
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 16
სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა 22
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 23
პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 37
გამოძიების დაწყება 37
სისხლისსამართლებრივი დევნა 38
განაჩენები 41
ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა 43
ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა 43
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 50
ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა 56
ნარკორეალიზატორები 57
სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები 58
არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა 61
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა 63
შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 65
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა 67
ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება 68
ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული 69
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 74
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა 77
საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა 79
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 81
სტაჟირების სისტემა 81

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.....82

გენერალური ინსპექცია.....87

საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები.....87

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო 87

რანგირების საბჭო.....89

სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს საქმიანობა 90

საერთაშორისო თანამშრომლობა 92

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა 92

საერთაშორისო ხელშეკრულებები 94

ონლაინ მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობა 96

ექსტრადიცია 96

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა 96

საზოგადოებასთან ურთიერთობა **97**

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 97

საჯარო ინფორმაციის გაცემა.....102

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება.....103

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება.....104

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურატურის ექსკლუზიური და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომლის უზრუნველსაყოფად პროკურორი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 682 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



2024 წელს, 2023 წლის მსგავსად, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 260-ე და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში (2024 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში (2023 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
(2022 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
(2021 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
(2020 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა დევნის დაწყებასთან ერთად პროკურატურის ექსკლუზიური ფუნქციაა.

2024 წელს დევნა შეწყდა 213 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ასეთია[1]:

[1] სულ დევნაშეწყვეტილი პირების რაოდენობა არ ემთხვევა სსკ-ის მუხლების მიხედვით დაფიქსირებულ მონაცემებს. მიზეზი არის ის, რომ, როდესაც გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა და, შესაბამისად, დევნა წყდება



დაზარალებული პირები

2024 წელს პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილი იქნა 16 814 პირი[2]. დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ მონაცემები სსკ-ის მუხლების მიხედვით ასეთია:

სსკ-ის ორი და მეტი მუხლით, დევნაშეწყვეტილ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება თითოეულ დანაშაულთან მიმართებით.

[2] სულ დაზარალებული პირების რაოდენობა არ ემთხვევა სსკ-ის მუხლების მიხედვით დაფიქსირებულ მონაცემებს. მიზეზი არის ის, რომ, როდესაც გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა და, შესაბამისად, პირი დაზარალებულად არის ცნობილი სსკ-ის ორი და მეტი მუხლით ჩადენილი დანაშაულის გამო, აღნიშნულ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება თითოეულ დანაშაულთან მიმართებით.



როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2024 წელს ყველაზე მეტი დაზარალებული პირი ფიქსირდება სსკ-ის 151-ე, 177-ე და 126¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

სრულწლოვანთა განრიდება

პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს როგორც ბრალდებულზე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, ასევე საზოგადოებაზე. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას ხელმძღვანელობს როგორც სახელმწიფოს, ასევე, საზოგადოების ინტერესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურატურა ცალკეული დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ პრიორიტეტულად იყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას.

განრიდება, ძირითად შემთხვევებში, გამოიყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის პიროვნული მახასიათებლები და სხვა. განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის შედეგად დადგა მძიმე ან/და გამოუსწორებელი ზიანი.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ, პროკურატურის თანამშრომლებისათვის მოქედი სახელმძღვანელო მითითების თანახმად განრიდების გარეშე დისკრეციული უფლებამოსილება/განრიდება არ უნდა იქნას გამოყენებული იმ პირის მიმართ, ვინც

წარსულში იყო განრიდებული, ან ვის მიმართაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე.

2024 წლის 12 თვეში განრიდება გამოყენებულ იქნა 2903 სრულწლოვანი (21 წელს ზევით) პირის მიმართ, რომელთაგან 2648 პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 255 პირი - მძიმე კატეგორიის დანაშაულზე. აღსანიშნავია, რომ დევნის ალტერნატიული მექანიზმი ძირითადად გამოიყენება არაძალადობრივი (ქურდობა) და გაუფრთხილებელი დანაშაულების (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) ჩადენის შემთხვევაში.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც 2024 წელს ყველაზე ხშირად გამოიყენება განრიდების მექანიზმი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:[3]

[3] განრიდებულ პირთა რაოდენობა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით დათვლილია შემდეგი პრინციპით: თუ საქმეში ფიგურირებს ორი და მეტი დანაშაული და განსარიდებელი პირი ერთია, თითოეულ მუხლზე პირთა რაოდენობა ფიქსირდება ცალ-ცალკე.

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები,
რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდება
(2024 წელი)



რაც შეეხება მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, მათ შორის, განრიდება ყველაზე ხშირად არაძალადობრივ ეკონომიკურ დანაშაულებზე გამოიყენება. მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების გამოყენების მუხლობრივი მონაცემები შემდეგია:

მძიმე კატეგორიის დანაშაულები,
რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდება
(2024 წელი)



აღკვეთის ღონისძიებები

წარმოდგენილი ანგარიშისთვის ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნით, პროკურატურა ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებს.

2024 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ, ბრალდებულ პირთა მიმართ, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით სასამართლოში შესული შუამდგომლობებიდან პატიმრობა მოთხოვნილი იქნა ბრალდებულთა მხოლოდ 34.7%-ის მიმართ, ხოლო, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - 65.3%-ის მიმართ.

სასამართლოსთვის მიმართული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება ზემოაღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას თავდაპირველად გაანალიზდა საქართველოს პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შესახებ წარდგენილი ის შუამდგომლობები, რომლებიც სასამართლომ განიხილა. სასამართლოს მიერ განხილული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობებიდან მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა თანაფარდობა შემდეგია:



რაც შეეხება პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი იმ შუამდგომლობებს, რომლებიც არ იქნა სასამართლოს მიერ განხილული ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის გამო, საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მონაცემები შემდეგია:



პროკურატურის მიერ ბოლო წლებში გაიზარდა განრიდების გამოყენების პრაქტიკა ნაკლებად მძიმე კატეგორიის და არაძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. აღნიშნული პირთა მიმართ პროკურატურის მიერ დევნის დაწყების შემთხვევაში, როგორც წესი, სათანადო საფუძვლების არსებობისას პროკურორი ითხოვდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის მაჩვენებლები განრიდების მაჩვენებლებთან

ერთობლიობაში უფრო ზუსტად ასახავს პროკურატურის პოლიტიკას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის შესახებ.



წარმოდგენილი ანგარიშისთვის გაანალიზდა ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები, როგორც სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების, ასევე, იმ შუამდგომლობების მიხედვით, რომლებშიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, განუხილველი დარჩა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ასევე, მნიშვნელოვანია ოჯახურ და არაოჯახურ დანაშაულთა საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის თანაფარდობა. ამ მონაცემთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2023 წლის მონაცემებთან შედარებით 2024 წელს 1%-ით გაიზარდა ოჯახურ დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი.



რაც შეეხება არაოჯახურ დანაშაულებს, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი გაზრდილია 3%-ით:



პროკურორების მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებლები წლებში შემდეგია:



რაც შეეხება მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებლებს, მონაცემები შემდეგია:



წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2022-2024 წლებში მცირედით გაზრდილია შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო ასევე მცირედით შემცირებულია ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი. აღნიშნული აიხსნება პროკურორების მიერ საპროკურორო საქმიანობის და შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებით.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2024 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 15948 პირის მიმართ. წლების მიხედვით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა შემდეგია:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024 წელს 15948 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 73,7% დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა წლების მსგავსად 2024 წელს შენარჩუნდა საპროცესო შეთანხმებით საქმეთა დასრულების ზრდის დინამიკა.

წლების მიხედვით მონაცემები შემდეგია:



2024 წელსაც, წინა წლების მსგავსად, შენარჩუნდა გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, დიაგრამაზე არსებული მონაცემებით ჩანს, რომ 2024 წელს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა 2024 წელს სულ გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებათა 60%.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე) გაფორმება ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და, ამავდროულად, ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსურ რესურსს, რაც ხელს უწყობს პროკურორებს უფრო მეტად კონცენტრირდნენ რთულ და კომპლექსურ საქმეებზე.

ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მცირედი კლების ტენდენცია კი აიხსნება 2022 წლიდან პროკურორთა მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილებების გაზრდილი მაჩვენებლებით.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი სამართალწარმოების სტადიების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება:



2024 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 13,4%-ის შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 6,1%-ის შემთხვევაში - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებამ 2024 წელს 56,1% შეადგინა.



2024 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობამ 38 179 873 ლარი შეადგინა. ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას, 2024 წელს სასჯელის აღნიშნული სახის გამოყენების მაჩვენებელმა 16,8% შეადგინა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



2024 წელს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 19%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



2024 წელს საქმის არსებითი განხილვით გამოტანილ განაჩენებში თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 41,3%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



პროკურატურა აგრძელებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ.



სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული იყო 9098 ბრალდებული და მსჯავრდებული პირი, მათ შორის 396 ქალი.

მონაცემები წლების მიხედვით არის შემდეგი:



რაც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნების რაოდენობას, 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით იყო 77 პირი მათ შორის 6 ქალი.

მონაცემები კი წლების მიხედვით არის შემდეგი:



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს პროკურატურის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში დაცული იყოს ბავშვთა უფლებები, სამართალწარმოების პროცესი მაქსიმალურად იყოს ბავშვზე მორგებული, არასრულწლოვანთა მიმართ თითოეული გადაწყვეტილება მიღებული იქნას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებითა და საუკეთესო ინტერესების დაცვით.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს პროკურატურა აქტიურად მუშაობს არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიც არის: პროკურორთა, პროკურატურის გამომძიებელთა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სპეციალიზაცია და სპეციალიზებულ პირთა განგრძობადი განათლება, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება/განახლება, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება, სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და კვლევითი საქმიანობა, არასრულწლოვანთა საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, ბავშვზე მორგებული სივრცეების შექმნა და სხვა.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, პროკურორის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების პრიორიტეტულად გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან განრიდება/განრიდება-მედიაცია ეფუძნება არასრულწლოვნის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლშეგნების ამაღლებას, უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ასევე, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებული იქნა 1084 პირის მიმართ, საიდანაც 674 (62%) იყო არასრულწლოვანი, ხოლო 410 (38%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

14-დან -21 წლამდე ასაკის პირთა განრიდება



2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ[4] არასრულწლოვანთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 1164 პირს, საიდანაც განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 58% (674 არასრულწლოვანი). აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2023 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური რაოდენობა 1010 იყო, საიდანაც განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში 54% (544 არასრულწლოვანი) ჩაერთო.

[4] ბრალდებულთა რაოდენობა მოიცავს იმ პირებსაც, რომელთა მიმართ დევნის დაწყების შემდეგ იქნა გამოყენებული განრიდება





ვინაიდან ცალკეულ (მცირე) შემთხვევებში, არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემები დათვლილი იქნას საბოლოოდ მიღებულ

გადაწყვეტილებათა მიხედვით. ქვემოთ მოცემული 2 დიაგრამა ასახავს არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყებისა და განრიდების შესახებ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს. კერძოდ, განრიდების მაჩვენებელი მოიცავს როგორც დევნის დაწყების გარეშე, ასევე, დევნის დაწყების შემდგომ განრიდების მონაცემებს, ხოლო დევნის მაჩვენებელი არ ასახავს იმ არასრულწლოვანთა რაოდენობას, რომელთა მიმართ განრიდება გამოყენებული იქნა დევნის დაწყების შემდეგ.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა
(საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით)



არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცენტული თანაფარდობა
(საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით)



ბრალდებულ არასრულწლოვანთა გარკვეული რაოდენობა არ აკმაყოფილებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილ განრიდების გამოყენებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, რის გამოც პროკურორს ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო განრიდების გადაწყვეტილება. 2024 წელს ბრალდებული 490 პირიდან განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმს მხოლოდ 170 არასრულწლოვანი აკმაყოფილებდა. ამდენად, 2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ 844 პირს შეადგენს, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა 80%-ის (674 პირი) მიმართ მიიღო.



აღსანიშნავია, რომ 2021, 2022, 2023 და 2024 წლებში განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, განრიდების მაჩვენებელი სტაბილურად 80%-ს შეადგენს. რაც ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ.

2020-2024 წლებში განრიდების ხვედრითი წილი იმ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ



არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პრიორიტეტულად გამოყენებას ცალსახად ადასტურებს პროკურორთა მიერ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელი. 2024 წლის მონაცემებით, განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 17 (2,5%) არასრულწლოვნის მიმართ იყო დაწყებული.

განრიდება აქტიურად გამოიყენება მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც, როდესაც პროკურორი ბავშვის ინდივიდუალური შეფასებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განრიდების ღონისძიებების გამოყენება უკეთ უზრუნველყოფს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. 2024 წლის მონაცემებით, განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 379 არასრულწლოვანს, ანუ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 56%-ს.

2024 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, განრიდება ძირითადად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებულ დანაშაულზე. 674 განრიდებული არასრულწლოვნიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 423 პირს (63%).

საქართველოს პროკურატურაში მრავალი წელია დანერგილია ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი. მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ, გასული წლების მსგავსად, პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას დროულად იღებენ, განრიდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებულია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორები მხოლოდ მას შემდეგ იღებენ, როდესაც შეფასდება, რომ განრიდება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და მის სათანადო

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, შესაბამისად, დაბალია სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეების დაბრუნების მაჩვენებელი. 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 15 (2%) შემთხვევაში დაბრუნდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალი მაჩვენებელია. 2024 წლის მონაცემების მიხედვით, სულ განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 26-მა პირმა (3,8%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის გამოყენებას, მონაცემები შემდეგია:

2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 28,1% შეადგინა. უნდა აღინიშნის რომ, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 3 % -ით მომატებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, რამაც შესაბამისად განაპირობა არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის 3 %-იანი მატება.



2024 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან (განრიდებულ არასრულწლოვნების და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამი, რომელთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდება) პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 9.2% შეადგინა.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო რაოდენობიდან პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 21.9% შეადგინა:

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული არასრულწლოვნებისა და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური მონაცემებიდან, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა აღკვეთის ღონისძიება, 2024 წელს პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 7.2% შეადგინა.

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვნების მიმართ გამოტანილი განაჩენების რაოდენობას, 2024 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 387 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობას, 2020 წელს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ გამოტანილა, 2021 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 1 საქმეზე 3 არასრულწლოვნის, 2022 წელს - 5, 2023 წელს - 2, ხოლო 2024 წელს - 3 არასრულწლოვნის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



როგორც მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, 2024 წელს გაზრდილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

არასრულწლოვანთა მიმართ, არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განხილული და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების საერთო რაოდენობიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამური მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება არსებითად განხილულ, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამურ მაჩვენებელს, აღნიშნული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



როგორც სტატისტიკური მონაცემებით ჩანს 2024 წელს გაზრდილია არასრულწლოვნების მიმართ, როგორც საპროცესო შეთანხმებით ასევე არსებითად განხილვის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების

მაჩვენებლები, რაც განპირობებულია იმით რომ 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს მომატებულია იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს იყვნენ ნასამართლევები ან/და იმყოფებოდნენ პირობითი მსჯავრის ქვეშ. ასევე 2024 წელს, მცირედით თუმცა მაინც გაზრდილია სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და შესაბამისად არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი.

საქართველოს პროკურატურა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ყოველწლიურად ახდენს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგებზე ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშებს.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში“

2024 წლის დასაწყისში მომზადდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში“, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე. ანგარიში მოიცავს არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ყველა ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას. ვინაიდან 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდებაზე ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ანგარიშში გაანალიზდა განრიდების ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ამ ასაკობრივი კატეგორიის პირთა მიმართაც. ანგარიშში სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე, პირთა სქესის, ასაკის, დანაშაულის სახისა და კატეგორიის მიხედვით. ანგარიშში გაანალიზებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილებების მიღების დროულობა, დასაბუთებულობა, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების შესახებ მონაცემები. ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას 2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის, 2023 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელების შესახებ.

„განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა“

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფასთან ერთად მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ქმედითი პრევენციული მექანიზმების შექმნა, რისთვისაც დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების კვლევა ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. 2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე, 2024 წელს განხორციელდა „განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა“. კვლევაში გაანალიზდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მახასიათებლები, როგორიც არის: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობა, მშობლებთან ცხოვრების ფაქტი, ძალადობრივი გამოცდილება, მავნე ჩვევებზე

დამოკიდებულება, საზოგადოებისადმი დამოკიდებულება და სხვა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კვლევის საფუძველზე მომზადებული ანგარიში გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე. კვლევაში ასახული მიგნებები მნიშვნელოვანია, რათა პროკურატურის და სხვა რელევანტური უწყებების მიერ დასახული იქნეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის ეფექტიანი ღონისძიებები. კვლევა ასევე შესაძლებლობას აძლევს კრიმინოლოგებს და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი ფაქტორებით დაინტერესებულ პირებს უფრო სიღრმისეულად იკვლიონ არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზები.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი

2024 წლის დასაწყისში მომზადდა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 2023 წლის მუშაობის ანგარიში და 2024 წლის მარტში გაიმართა არასრულწლოვანთა ცენტრალური მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრა.

ცენტრალური მულტიდისციპლინური საბჭოს ფარგლებში არასრულწლოვნებთან მომუშავე უწყებების ხელმძღვანელ პირებს პროკურატურის მიერ მიაწოდათ შემაჯამებელი ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ. მათვე მიეწოდათ ინფორმაცია 2023 წლის განმავლობაში, პროკურატურის ინიციატივით, თბილისსა და რეგიონებში გამართული არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოების სხდომების მუშაობის პროცესში იდენტიფიცირებული საკითხების შესახებ.

ბავშვზე მორგებული სივრცეები

ბავშვზე მორგებული სივრცის შექმნის მიზანია მართლმსაჯულების პროცესი განხორციელდეს ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სამართალწარმოების პროცესში ბავშვის მონაწილეობის გააადვილებას, კონფიდენციალურობის დაცვას და არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.

2024 წელს, სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ბავშვზე მორგებული სივრცე გაიხსნა ხაშურის რაიონულ პროკურატურაში.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ 2024 წელს გამოძიება დაიწყო 353 სისხლის სამართლის საქმეზე.



2024 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით.



სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 220 პირის მიმართ.



2024 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით.



2024 წლის მონაცემებით, ბრალდებული 220 პირიდან 52 დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. 2024 წელსაც, წინა წლების მსგავსად, ბრალდებულ საჯარო მოხელეთაგან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.





განაჩენები

2024 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 231, ხოლო გამამართლებელი - 22 პირის მიმართ.



განრიდება

2024 წელს საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ საქმეებზე განრიდების მექანიზმი გამოყენებული იქნა 32 პირის მიმართ.

განრიდების მექანიზმი ძირითადად გამოყენებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებზე:



ცალკეული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ წლების მანძილზე საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, მათ შორის პარალელური ფინანსური გამოძიების, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება/ჩამორთმევის, საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით.

ყოველივე აღნიშნული, უკვე არსებული მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების ფონზე, გვაძლევს შესაძლებლობას წარმატებით გამოვავლინოთ ფულის გათეთრების დანაშაული.

პოტენციური ფულის გათეთრების დანაშაულის აღმოჩენის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება-ჩამორთმევის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პროკურატურამ ჯერ კიდევ 2022 წელს, პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ და ვირტუალური აქტივების ამოღების შესახებ სახელმძღვანელოები შეიმუშავა. ამ მიმართულებით, პროკურატურამ ასევე უზრუნველყო თანამშრომელთა გადამზადება საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურაში, ციფრული გამოძიების სპეციალური ლიცენზირებული პროგრამით და დაკავშირებული საჭირო ტექნიკით აღჭურვილი ციფრული ლაბორატორია შეიქმნა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დანაყოფის შესაძლებლობებს ფულის გათეთრების და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ციფრული ლაბორატორიის შექმნის პარალელურად, პროკურატურაში დაინერგა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა გამოძიების პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ 2024 წლის დასაწყისიდან საქართველოს პროკურატურამ მოიპოვა კრიპტოვალუტის მიდევნებისა და ანალიზის სპეციალური პროგრამა, რაც გამომძიებლებს მნიშვნელოვნად ეხმარება გამოძიების პროცესში დანაშაულში ჩართული კრიპტოვალუტის მიდევნებასა და აღმოჩენაში.

საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად, ბოლო წლებში, ფულის გათეთრების დანაშაულის გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 110 სისხლის სამართლის საქმეზე.



2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 107 პირის მიმართ, მათ შორის 99 ფიზიკური და 8 იურიდიული პირის მიმართ.





2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 89 პირის, მათ შორის 79 ფიზიკური და 10 იურიდიული პირის მიმართ.



ფულის გათეთრების საქმეებზე დაწყებული გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების პარალელურად, საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფულის გათეთრებისა და პრედიკატ დანაშაულზე ამოღებული/დაყადაღებული, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ან მისი ეკვივალენტი ქონებების ოდენობა.

2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე ამოღებული/დაყადაღებული აქტივების ოდენობა:

- 9 110 012 ლარი
- 7 641 770 აშშ დოლარი
- 1 206 470 ევრო
- 3 025 691 შვეიცარული ფრანკი
- 59 257 105 რუსული რუბლი
- 1 330 635 ჩინური იუანი
- 1 787 529 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები
- 89 ავტომანქანა
- 9 სხვა სატრანსპორტო საშუალება
- 502 უძრავი ქონება
- 36 ერთეული ძვირფასეულობა
- 20 საწარმოს წილი
- კრიპტოვალუტა: 6801 SUI, 294,29 BTC, 349340 USDT, 3864 USDC, 67,85 Ethereum, 593,77 TRON



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული აქტივების ოდენობა:

- 19 426 810 ლარი
- 2 783 330 აშშ დოლარი
- 84 610 ევრო
- 3 247 236 ლარის ღირებულების 36 ავტომანქანა
- 12 824 275 ლარის ღირებულების 33 უძრავი ქონება
- 27 043 ლარის ღირებულების თამბაქო
- 7 ერთეული ტექნიკა
- 34 600 აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტა



შენიშვნა: დიაგრამაზე ჩამორთმეული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

2024 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით წარმოებულ საქმეებზე დაზარალებულისათვის ანაზღაურებული ზიანის ოდენობა:

- 50 881 ლარი
- 668 763 აშშ დოლარი
- 287 684 ევრო
- 3 025 641 შვეიცარული ფრანკი
- დაბრუნდა 870 400 ლარის ღირებულების 5 უძრავი ქონება

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და სასწავლო აქტივობები

ბოლო წლებში, საქართველოს პროკურატურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

ფულის გათეთრების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩართულ კომპეტენტურ უწყებებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, 2023 წლის ბოლოს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

2024 წელს **უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი** სამუშაო შეხვედრებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ფინანსური დაზვერვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ფინანსური გამოძიების წარმოების პრაქტიკა და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების ეფექტური გამოყენება, ფულის გათეთრების დანაშაულის ბოლო პერიოდში გავრცელებული ტიპოლოგიები, ვირტუალური აქტივების კვალზე მიდევნების, მოძიების და ამოღების სამართლებრივი ჩარჩო, არსებული პრაქტიკა და გამოწვევები, ასევე დანაშაულის პრევენციისა და გამოძიების პროცესში გამოვლენილი აქტუალური საკითხები.

სამუშაო ჯგუფის ფორმატში, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლების შეხვედრები, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ფულის გათეთრების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

ტრანსნაციონალური დანაშაულების - თაღლითობის, კიბერდანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურა პერიოდულად ახორციელებს გამომძიებლების და პროკურორების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას სხვადასხვა კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

- 2024 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს ორგანიზებით, საქართველოს პროკურატურის პროკურორების და გამომძიებელების, ასევე სხვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, ფულის გათეთრების თემაზე ერთობლივი ტრენინგი ჩატარდა.
- 2024 წელს, პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტის „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და ბრძოლის ინსტიტუციური და ოპერატიული ჩარჩოების კონსოლიდაცია და გაძლიერება“ ფარგლებში საქართველოს პროკურატურის მენეჯერების, პროკურორების და გამომძიებლებისათვის პარალელური ფინანსური გამოძიების საკითხებზე ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა.
- ევროკავშირის პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით განხორციელებული ტრენინგის ფარგლებში, კიბერდანაშაულის გამოძიების და ვირტუალური აქტივების მიდევნება-ამოღების საკითხებზე, პროკურორები და გამომძიებლები გადამზადდნენ. ტერნინგის ფარგლებში, განხილული იქნა კრიპტოვალუტით ფულის გათეთრების

თანამედროვე მეთოდები, ასევე, ვირტუალური აქტივების კვალზე მიდევნების და ამოღების პრაქტიკული მაგალითები.

- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები FATF-ის საერთაშორისო სტანდარტების, ფული გათეთრების, პარალელური ფინანსური გამოძიების, დანაშაულებრივი აქტივების მოძიება-ამოღების საკითხებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ არარეთ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობდნენ. სწავლებები პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის, ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის, ევროკავშირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გლობალური ფონდის და სხვა პარტნიორების მხადაჭერით ჩატარდა და მიზნად ისახავდა თეორიული ცოდნის გაღრმავებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მიდგომების შემუშავებას.

ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის ტრანსნაციონალური თაღლითობის წინააღმდეგ.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ტრანსნაციონალური თაღლითობის ერთ-ერთ გავრცელებულ მიმართულებას ე.წ ,,თაღლითური ქოლ-ცენტრების“ საქმიანობა წარმოადგენს.

ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოძიების პროცესში საქართველოს პროკურატურის წარმატება, მნიშვნელოვნად განაპირობა საერთაშორისო პარტნიორ უწყებებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. საქართველოს პროკურატურა, ევროჯასტში საქართველოს მეკავშირე პროკურორის ჩართულობით, ეფექტიანად თანამშრომლობს ევროჯასტის წევრ ქვეყნებთან და უწყებას მსგავსი ნაყოფიერი თანამშრომლობის უკვე მდიდარი გამოცდილება აქვს.

ე.წ ,,თაღლითური ქოლ-ცენტრების“ წინააღმდეგ, საქართველოს პროკურატურის და უცხო ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში, 2021-2024 წლებში, ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე რამდენიმე ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა, რომელთა შედეგადაც არაერთი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი გამოვლინდა.

აღნიშნულ პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის და ფულის გათეთრების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა ე.წ. ,,თაღლითური ქოლ-ცენტრების“ საქმიანობაში ჩართული 104 ფიზიკური და 7 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო. დაზარალებულად ცნობილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ასეულობით მოქალაქე, რომელთა ზიანის საერთო ოდენობა 50 მილიონამდე ლარს შეადგენს. ასევე, ყადაღა დადებულია სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ აქტივებზე, რომელთა ღირებულება 200 მილიონ ლარს აღემატება.

ისე როგორც წინა წლებში, 2024 წელსაც ეფექტური ღონისძიებები გატარდა ე.წ ,,თაღლითური ქოლ-ცენტრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში და 2024 წელს, საქართველოს პროკურატურამ, უცხოელ კოლეგებთან ერთად, არაერთი ფართომაშტაბიანი ღონისძიება ჩაატარა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციული დანაშაული მისი სპეციფიკიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

კორუფციული დანაშაულების გამოძიება მიეკუთვნება პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას. საქართველოს პროკურატურა კოორდინაციას უწევს კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას.

კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს სპეციალიზებული დანაყოფი - კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი და მაღალპროფესიონალი კადრებით და სრულად უზრუნველყოფილია სათანადო რესურსებით, რაც იძლევა მათი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების გარანტიას.

კორუფცია საჯარო სექტორში

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, 2024 წელს, გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 155 სისხლის სამართლის საქმეზე. 2023 წელს -159 , 2022 წელს -216 და 2021 წელს კი - 168 სისხლის სამართლის საქმეზე.

რაც შეეხება გამოძიების დაწყების მუხლობრივ მაჩვენებლებს, მონაცემები შემდეგია:



მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა გამოძიების დაწყების ძირითადი წყაროები, ესენია - მოქალაქეების განცხადება/საჩივრები, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, ასევე, საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურების მიერ მოწოდებულია ინფორმაცია.

2024 წელს საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 83 პირის მიმართ. რაც შეეხება 2023 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში მხილებული 153 პირის მიმართ, 2022 წელს -150 პირის ხოლო 2021 წელს 144 პირის მიმართ.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივ მაჩვენებელს, მონაცემები შემდეგია:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2024 წელს, ყველაზე მეტი - 28 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის ფაქტებზე, - 17 პირის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, 11 პირის მიმართ ქრთამის აღების ფაქტზე, ხოლო ქრთამის მიცემის ფაქტებზე - 7 პირის მიმართ.

2024 წელს დევნადაწყებული პირებიდან 61 პირი, დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებული იყო საჯარო სამსახურში, ხოლო მათგან 2 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს (შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე). აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ საჯარო მოხელეთა დიდ ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები წარმოადგენენ -სულ 22 პირი, რაც შეადგენს ბრალდებულ საჯარო მოხელეთა 36%-ს.

2024 წელს საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა 9 შეტყობინება, რომელიც ეხებოდა სამართალდაცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდო კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებს. აღნიშნული შეტყობინებების საფუძველზე საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა საგამოძიებო დანაყოფში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 9 საქმეზე. ამავე პერიოდში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ.

2024 წელს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 64 პირის მიმართ, ხოლო 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 105 პირს.

გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი



2024 წელს, სასამართლოს მიერ სამსახურებრივი გულგრილობისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი 18 პირი. საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 9 პირი, სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე კი დამნაშავედ იქნა ცნობილი 9 პირი, ქრთამის აღების ფაქტზე დამნაშავედ იქნა ცნობილი 8 პირი.

კორუფცია კერძო სექტორში

2024 წელს, გამოძიება დაიწყო კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 66 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2023 წელს ანალოგიური კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 74 სისხლის სამართლის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 47 საქმეზე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ კერძო სექტორში ჩადენილ კომერციული მოსყიდვის ფაქტებზე საანგარიშო პერიოდში გამოძიება დაიწყო 11 საქმეზე.



2024 წელს, კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 105 პირის მიმართ, ხოლო 2023 წელს ამ კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 91 პირის მიმართ. 2024 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 88 პირის მიმართ, ხოლო სსკ-ის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ კერძო სექტორში ჩადენილ კომერციული მოსყიდვის ფაქტებზე - 13 პირის მიმართ.



2024 წელს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 87 პირის მიმართ, ხოლო 2023 წელს სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი ამ კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული 39 პირი.

ქონების დაყადაღება და ჩამორთმევა

კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში, მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველსაყოფად, 2024 წელს , ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ 22 410 956 ლარის ღირებულების 370 უძრავ ქონებასა და 30 სატრანსპორტო საშუალებას.

2024 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული იქნა კორუფციული დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებული 6 206 782 ლარის ღირებულების 20 უძრავი ქონება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად ჩატარება. 2024 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში გადმოიგზავნა 5 ანგარიში, რომელთა საფუძველზე გამოძიება დაიწყო 5 სისხლის სამართლის საქმეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, ორივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებული იყო საჯარო სექტორში.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი დანაშაულების ჩადენის ფაქტზე:

182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები, 332-ე მუხლის პირველი ნაწილი	1 პირის მიმართ
182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები	1 პირის მიმართ

ამავე პერიოდში, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი 3 პირის მიმართ, აღნიშნულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ სამივე მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებული იყო საჯარო სექტორში.

ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა.

2024 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1], 223[2], 223[3] და 223[4]-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 42 პირის მიმართ, მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 19 პირის მიმართ;
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 5 პირის მიმართ;
- ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ფაქტზე - 0 პირის მიმართ;
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე - 9 პირის მიმართ;
- „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე - 9 პირის მიმართ.

2024 წელ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 101 პირის მიმართ, მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 39 პირის მიმართ;
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 8 პირის მიმართ;
- ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ფაქტზე - 0 პირის მიმართ;
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე - 41 პირის მიმართ;
- „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე - 13 პირის მიმართ.

გამამართლებელი განაჩენი კი გამოტანილი იქნა 9 პირის მიმართ:

- 1 პირი ,,კანონიერი ქურდობის“ ფაქტზე,
- 3 პირი -,,ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე,
- 2 პირი - ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე
- 3 პირი „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირებიდან 5 პირი ნაცვლად ,,ქურდული სამყაროს“ დანაშაულის მუხლებისა ცნობილ იქნენ დამნაშავედ გამოძალვის ჩადენისთვის.

უნდა აღინიშნოს რომ, სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის უმკაცრესი. აღნიშნული მუხლებით ბრალდებული ყველა

პირის მიმართ პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა. ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად იგზავნება სასამართლოში და საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის და მამხილებელი ჩვენების მიცემისას გამონაკლის შემთხვევებში იყენებს.

ნარკორეალიზატორები

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა, ნარკოტიკული დანაშულის ჩამდენი პირების მიმართ, მათ მიერ ჩადენილი დანაშულის ხასიათის მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებით მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკორეალიზატორების მიმართ.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 174 ნარკორეალიზატორის მიმართ, მათ შორის:

- სსკ-ის 260-ე მუხლის მეოთხე ნაწილით - 57 პირის მიმართ;
- სსკ-ის 260-ე მუხლის მეხუთე ნაწლით - 60 პირის მიმართ;
- სსკ-ის 260-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით - 57 პირის მიმართ;
- სსკ-ის 261-ე მუხლის მეოთხე ნაწილით - 0 პირის მიმართ.

რაც შეეხება ნარკორეალიზატორთა საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, 2024 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 203 პირის მიმართ.

2024 წელს, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელებული ნარკოვაჭრობა. ასეთ შემთხვევებში ნარკოტიკის გამსაღებელი შემძენთან ურთიერთობას ახორციელებს დისტანციურად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, ანგარიშსწორება ძირითად კრიპტოვალუტით ხორციელდება, ხოლო უშუალოდ ნარკოტიკის გადაცემა სხვადასხვა, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე განთავსების გზით ხდება. აღნიშნული გარემოებები ართულებს დამნაშავეთა გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად ამისა, გამოვლენილი იქნა ნარკოტიკებით ამდაგვარი მეთოდით ვაჭრობის არაერთი ფაქტი. 2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა საკომუნიკაციო საშუალებებით ვაჭრობაში მონაწილე 85 პირის მიმართ, რომელთა უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. ამასთან, ყველა საქმეზე უზრუნველყოფილი იქნა გასაღებისთვის მომზადებული და სხვადასხვა ლოკაციებზე გასაღებისთვის ფარულად განთავსებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებების ამოღება.

ნარკორეალიზატორთა მიმართ ყველა შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2024 წელი წარმატებული იყო ასევე ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების შემოტანასთან ბრძოლის კუთხითაც. სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მუშაობის შედეგად, 2024 წელს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 71 პირის მიმართ. მხილებული იქნა არაერთი უცხო ქვენისა და საქართველოს მოქალქე,

რომელთაც სხვადასხვა ხერხით (პირადად, სხეულით, საფოსტო ამანათით, სატრანსპორტო საშუალებით) საქართველოში შემოჰქონდათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, როგორიცაა ,,კოკაინი", ,,ჰეროინი", ,,ბეპრენორფინი" (სუბოტექსი), ,,მეთადონი" და ა.შ.

რაც შეეხება ნარკოტიკების გასაღების პარალელურად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, 2024 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა საქართველოში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 ხელმღვანელი პირის მიმართ, რომლებიც ე.წ. ,,ლოკაციებზე" განთავსების გზით ახორციელებდნენ რამდენიმე სახეობის ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციასა და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციას. 3 მსჯავრდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, მათვე ჩამოერთვათ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული 300 000 ლარამდე ფულად თანხა და 2 ავტომანქანა.

აუცილებლად აღსანიშნავია რომ 2024 წელს მხილებულ იქნა საქართველოში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა რამდენიმე სახეობის ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანასა და რეალიზაციას. ჩატარებული გამოძიების შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო ორგანიზებული ჯგუფის 9 წევრი მიმართ. ამოღებულ იქნა და ყადაღა დაედო 6 უძრავ ქონებასა და 8 ავტომანქანას.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაშია 422 სისხლის სამართლის საქმე.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო 7 სისხლის სამართლის საქმეზე.

- 332-ე მუხლის პირველი ნაწილით -2 საქმეზე;
- 333-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 საქმეზე
- 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 341-ე მუხლით - 1 საქმეზე;
- 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით - 1 საქმეზე;
- 341-ე მუხლით - 2 საქმეზე.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ,

- 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით - 8 პირის მიმართ;
- 341-ე მუხლით - 9 პირის მიმართ.

რაც შეეხება განრიდების მექანიზმს, 2024 წელს დეპარტამენტის პროკურორების მიერ განრიდების მექანიზმი გამოყენებული იქნა 3 პირის მიმართ,

- 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით - 2 პირის მიმართ;
- 341-ე მუხლით - 1 პირის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სამივე პირი დანაშაულის ჩადენის დროს და ასევე განრიდების დროს იყო საჯარო მოხელე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

2024 წელს, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332--ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის - 3 პირის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

დანაშაულის ჩადენის დროს აღნიშნული პირები იყვნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები.

- ✓ შს სამინისტრის თანამშრომელი - 1 პირი;
- ✓ პროკურატურის თანამშრომელი - 2 პირი.

დისკრეციის გამოყენების დროს კი არცერთი პირი არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

2 პირის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილებები დევნის არ დაწყების თაობაზე მათი გარდაცვალების გამო,

- ➢ 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 1 პირის მიმართ;
- ➢ 341-ე მუხლით - 1 პირის მიმართ.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის პერიოდში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 10 პირის მიმართ, კერძოდ:

- ✓ 332-ე მუხლის 1 ნაწილით - 1 პირის მიმართ;
- ✓ 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 5 პირის მიმართ;
- ✓ 341-ე მუხლით - 4 პირის მიმართ.

2024 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით. აღნიშნულ ფაქტზებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება. რომლის ფარგლებშიც მოპოვებული მტკიცებულებებით გამორიცხა ხსენებული პირების მიერ საქართველოს სსკ-ის181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტი.

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2024 წელს გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 2 ფაქტი 3 პირის მიმართ. დაზარალებულად ცნობილი იქნა 6 პირი. საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზარალებულებს დაუბრუნდათ (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 751 833 ლარის ღირებულების ქონება. მათ შორის 40 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 4000 კვ.მ.

რაც შეეხება სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საერთო შედეგს:

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2024 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 216 ფაქტი, მხილებული იქნა 98 საჯარო მოხელე, რომელთაგან 52-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება;

განრიდება გამოყენებული იქნა 6 პირის მიმართ;

- 8 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო;
- 1 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;
- 31 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 23 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამტუნებელი განაჩენი;

გარდა საჯარო მოხელეებისა:

- 2 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა;
- 3 პირის მიმართ გამოყენებული იქნა დისკრეცია;
- 4 პირის მიმართ გამოყენებული იქნა განრიდება;
- 1 პირის მიმართ შეწყდა გამოძიება გარდაცვალების გამო.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 488 პირი, რომელთაგან 335 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ (ან დაპრუნების პროცესშია) დაახლოებით **66 970 612** ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

- 176 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 22,947,687კვ.მ;
- 8 საცხოვრებელი ბინა;
- 3 აგარაკი;
- საოფისე და კომერციული ფართები;
- სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები;
- შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- 83 ერთეული ავტომანქანა;
- ოქროს ნაკეთობები;
- ფიროსმანის ფერწერული 2 ტილო;
- ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.
- აბრა „კახური ღვინო“

2016 წლიდან 2024 წლის ჩათვლით სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 124 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის

თაობაზე, მათგან 30 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. დღეის მდგომარეობით 121 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებზე გრძელდება საქმის განხილვა.

გარდა ამისა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად 19 პირის მიმართ, რომელთაგან 13 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, დადგენილი იქნა უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტები, გამოტანილი იქნა შებამისი დადგენილებები და უარი ითქვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პირთა მიმართ ასევე დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენები.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

2024 წელს, წინა წლების მსგავსად, მონიტორინგს დაექვემდებარა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პოლიციელის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პოლიციელის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 3 თანამშრომლის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ყველა სისხლის სამართლის საქმე შეეხება 2009-2010 წლებში ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

HELP-ის სასწავლო კურსები

2024 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის სამი სასწავლო კურსი წარმატებით ჩატარდა. აღნიშნული სასწავლო კურსები შემუშავებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ და მოიცავს საერთაშორისო ინსტრუმენტებს და სტანდარტებს, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის, ასევე ქალთა მიმართ გენდერულ და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული

კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის პროცესში. HELP-ის სასწავლო კურსები ინტეგრირდა პროკურატურის ოჯახური და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამებში.

საქართველო ევროპის საბჭოს „HELP“-ის პლატფორმის წარმატებული ქვეყნების ათეულშია და აღნიშნულ პროცესში საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში HELP-ის სასწავლო კურსების განხორციელება 2016 წლიდან დაიწყო. პროკურატურაში 26 სასწავლო კურსი ჩატარდა, რომელშიც 394 თანამშრომელი მონაწილეობდა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი

საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის კანონით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებმოსილების განხორციელების ფუნქცია, 2022 წლის 1 მარტიდან დაეკისრა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. ამავე კანონით, ახლადშექმნილი საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაფართოვდა და მოიცვა ისეთი დანაშაულები, რომელთა გამოძიება სახელწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა 2022 წლის 28 თებერვლიდან კი კიდევ გაიზარდა აღნიშნული სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების კატეგორია.

2024 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო 413 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა კი 105 პირის მიმართ.

დევნადაწყებული 105 პირიდან:

- 24 - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი;
- 2 - თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი;
- 4 - პენიტენციური დეპატრამენტის თანამშრომელი.

რაც შეეხება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, წინა წლების მონაცემები შემდეგია:



2024 წელს კი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე განაჩენი გამოტანილ იქნა 97 პირის მიმართ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, 2024 წელს წარმოდგენილ იქნა 2 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე და 3 წინადადება საგამოძიებო მოქმედების ჩასატრებლად სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე. საქართველოს პროკურატურის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხუთივე წინადადება სრულად დაკმაყოფილდა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2024 წლის 24 ივნისის ანგარიშის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით, საქართველო კვლავ უმაღლეს საფეხურზეა და მსოფლიოს მასშტაბით, 33 ქვეყანას შორის უკვე მე-9 წელია ინარჩუნებს ადგილს უმაღლეს საფეხურზე - „პირველ კალათაში“.

საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით								
2016 წელი - N1 კალათა	2017 წელი - N1 კალათა	2018 წელი - N1 კალათა	2019 წელი - N1 კალათა	2020 წელი - N1 კალათა	2021 წელი - N1 კალათა	2022 წელი - N1 კალათა	2023 წელი - N1 კალათა	2024 წელი - N1 კალათა

საქართველო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას და ქმნის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ

დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ქვეყანასა და რეგიონში უსაფრთხო და საიმედო გარემოს.

2024 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13 ტრეფიკიორის მიმართ, მათგან 4 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლით, 9 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით. დაზარალებულად ცნობილია 19 პირი, მათ შორის, 8 სრულწლოვანი და 11 არასრულწლოვანი.



საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულების დინამიკის, ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას. დეპარტამენტის მიერ მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2024 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, ქართულ და ინგლისურ ენებზე.[5]

2024 წლის 25 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურამ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) დელეგაციას, მეოთხე შეფასების ფარგლებში უმასპინძლა. პროკურატურის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარუდგინეს ანგარიში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფის ძირითადი ფუნქციაა შეაფასოს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულება.

2024 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან (30 ივლისი) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან (18 ოქტომბერი) დაკავშირებით, თბილისსა და ბათუმში, საქართველოს პროკურატურისა და შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლობით, შრომითი ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით 2 შეხვედრა ჩატარდა. პროკურორებმა და შრომის ინსპექტორებმა კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია ტრეფიკინგის მიმართულებით არსებულ ვითარებაზე,

[5] https://pog.gov.ge/human-trafficking

ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომებზე. კერძო კომპანიებში დასაქმებულმა პირებმა პროკურატურისა და შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებისგან მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

2024 წელს, ქუთაისსა და ბათუმში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურის, ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო უწყებების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით 2 საკოორდინაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არსებული ტენდენციები, გამოწვევები და ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხს და კოორდინირებული მოქმედების აუცილებლობას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით, ფუნქციონირებს შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის უწყებათაშორისი მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად განიხილავს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს, მათ შორის ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმებს. 2024 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა. პროკურატურის წარმომადგენლებმა, სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინეს ტრეფიკინგის 2024 წლის ანალიზის შედეგები. უწყებების წარმომადგენლებმა განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის ძირითადი ასპექტები, გამოწვევები და განსაზღვრეს სამუშაო ჯგუფის სამომავლო გეგმები.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიით, პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

2020 წლიდან, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ. ამჟამად, სპეციალიზებულია პროკურატურის 164 თანამშრომელი, მათ შორის, 35 მენეჯერი, 101 პროკურორი, პროკურატურის 12 გამომძიებელი, 16 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

2024 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მზარდი ტენდენცია შენარჩუნდა და ჯამში 1240 პირის მიმართ დაიწყო დევნა დისკრიმინაციის შემდეგი ნიშნებით:

- გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით - 1192 პირის მიმართ (მათ შორის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერული იდენტობის ნიშნებით)
- შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით - 10 პირის მიმართ;
- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 6 პირის მიმართ;

- რასის ნიშნით - 7 პირის მიმართ;
- რელიგიის ნიშნით - 6 პირის მიმართ;
- გენდერული იდენტობის ნიშნით - 5 პირის მიმართ;
- ასაკის ნიშნით - 3 პირის მიმართ;
- სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით - 5 პირის მიმართ;
- სექსუალური ორიენტაციისა და რასის ნიშნებით - 3 პირის მიმართ;
- პოლიტიკური შეხედულების ნიშნით - 1 პირის მიმართ;
- რელიგიისა და რასის ნიშნებით - 2 პირის მიმართ;

2024 წელს, დაზარალებულად ცნობილია 1275 პირი, მათგან 1224 ქალია, 7 - ტრანსგენდერი ქალი, 342- კაცი, ხოლო 2 იურიდიული პირი.
2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

2024 წელს მომზადდა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების 2023 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი[6], ასევე, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების 2021-2023 წლების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი[7] და რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების 2022-2024 წლების ანალიზი[8]. ანალიზები მოიცავს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. აღნიშნული ანალიზების შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2024 წლის 26-28 ივნისს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც სპეციალიზებულ პროკურორებთან და მოსამართლეებთან ერთად, გამომძიებლები და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის იმსჯელეს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების პროცესში დანერგილ მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე.

2024 წლის 24 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის

---

[6] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpfkV7AW.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpmJpjKh.pdf
[7] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpJgpI9H.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpgrxasR.pdf
[8] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphhCXC6.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpmz3Xe7.pdf

უფლებათა ოფისს (ODIHR) წარუდგინა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს 2023 წლის ერთიანი ანგარიში.[9]

ODIHR დადებითად აფასებს საქართველოს ძალისხმევას უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერების მიმართულებით, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის მონაცემთა შეგროვების პროცესში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების, მათ შორის ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვა საქართველოს პროკურატურის ბოლო წლების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

2024 წელს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

2024 წელს დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის შშმ პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. საქართველოს პროკურატურამ გეგმით ოთხი ამოცანა გაითვალისწინა. კერძოდ:

- ✓ შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში;
- ✓ შშმ პირების უფლებებზე, მათ შორის ქალებისა და გოგონების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება;
- ✓ შშმ პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ✓ შშმ პირთა, მათ შორის, ქალთა და არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, შშმ თემთან, შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[10]

---

[9] https://hatecrime.osce.org/georgia

[10] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpbtYxG2.pdf

შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, 2024 წელს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მომზადდა შშმ პირთა და შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეთა 2023 და 2024 წლების ანალიზები, რომლებიც მოიცავს შშმ პირების, მათ შორის ქალებისა და არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულების, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი შშმ არასრულწლოვნების საქმეების სისხლისსამართლებრივ და კრიმონოლოგიურ ასპექტებს. ანალიზების შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე. [11]

საქართველოს პროკურატურა მეოთხე წელია აქტიურად თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან. თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, 2024 წლის 18 ნოემბერს, საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემისა და შშმ პირთა ორგანიზაციების (DPOs) წარმომადგენლებთან პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განხორციელებული საპროკურორო საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა.

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, 2024 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. დაზარალებულად ცნობილია 44 ჟურნალისტი/ოპერატორი და 1 ტელეკომპანია, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე.

2024 წელს, ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, მათგან საქართველოს სისხლის

[11] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpubmVk8.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxzgrOl.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpGw9RLk.pdf
https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpvQnf1K.pdf

სამართლის კოდექსის 151[1] მუხლის პირველი ნაწილითა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 პირის მიმართ, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 პირის მიმართ, სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 2 პირის მიმართ. დაზარალებულად ცნობილია 10 ჟურნალისტი/ოპერატორი და 1 ტელეკომპანია, მათგან, 1 ჟურნალისტი საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, 5 ჟურნალისტი - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, ხოლო 4 ჟურნალისტი და 1 ტელეკომპანია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ საქმეებზე.

2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ შესრულდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცის 2024 წლის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება და ჩატარდა 2016-2024 წლებში ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი.

საქართველოს პროკურატურაში შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითება „ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თაობაზე”, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა დამცველების მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თანხვედრა საერთაშორისო დეკლარაციებთან, ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ მოქმედ უნივერსალურ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

2024 წელს უფლებადამცველების მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ. დაზარალებულად კი ცნობილია 11 უფლებადამცველი/ სამოქალაქო აქტივისტი.

2024 წელს, უფლებადამცველების მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითების პრაქტიკაში ეფექტიანად იმპლემენტაციის მიზნით, ორთვიანი ინტენსიური მომზადების კურსის ფარგლებში, გადამზადდა პროკურატურის 50 სტაჟიორ-პროკურორი.

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული

ოჯახში ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით საქართველოს პროკურატურამ გასულ წლებში არაერთი სიახლე დანერგა, თუმცა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

2024 წლის მონაცემებით, ოჯახური დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა 5003 პირის მიმართ დაიწყო. დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახური დანაშაულის ჩადენას გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, 2024 წელს აღნიშნული მოტივი გამოიკვეთა 1192 ბრალდებულის მიმართ.



ზემოაღნიშნული მოტივით ბრალდებული 1192 პირიდან, 2024 წლის მონაცემებით, გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების (ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერული იდენტობის) ერთობლიობით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ.

2024 წელს, გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების (ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერული იდენტობის) ერთობლიობით, დაზარალებულად ცნობილი იყო 1222 პირი, მათგან 1209 ქალი, 2 ტრანსგენდერი ქალი და 11 კაცი.

2024 წელს ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 91% შეადგინა. უნდა აღინიშნოს რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში

აღნიშნულ დანაშაულებზე საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა სტაბილურად მაღალია და 90%-დან 94%-მდე მერყეობს.

2020-2024 წლებში ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი შემდეგია:



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობებიდან 2024 წელს სასამართლომ დააკმაყოფილა 54%. ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი ბოლო წლების მიხედვით შემდეგია:



2024 წელს შესწავლილი იქნა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ასევე გაანალიზდა სისხლის სამართლის საქმეები, რომელზეც გამოძიების დაწყებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. საქმეთა შესწავლის მიზანი იყო გამოძიების დაწყების და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროულობის, კვალიფიკაციის სისწორის, დაზარალებულად ცნობის, დევნის დასაწყებად მტკიცებულებათა სტანდარტის შეფასების და გამოძიების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროულობის, დასაბუთებისა და კანონიერების საკითხის შემოწმება.

2024 წელს შესწავლილი იქნა ასევე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები, რომლითაც სასამართლომ უარი თქვა ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. გაანალიზდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე უარის თქმის საფუძვლები, რაც მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას შემდგომ საპროკურორო პრაქტიკაში.

2024 წელს ასევე გაანალიზდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოტანილი გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენები. შესწავლილი იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ 2023-2024 წლებში ოჯახურ დანაშაულებზე გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებები და განხორციელდა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თემატური სისტემატიზაცია, რაც ამარტივებს სასამართლოს მიერ გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გათვალისწინებას.

20024 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, მონიტორინგი გაეწია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებს და შედეგად, მომზადდა ანალიზი, რომელიც მოიცავს გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ციფრულ სივრცეში ან/და კომპიუტერული ტექნოლოგიის ან მოწყობილობის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს.

2024 წელს, საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ხანდაზმულთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის, მათ მიმართ ძალადობის ეფექტიანი გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის მიმართულებებზე. ხანდაზმულთა ძალადობისგან ეფექტიანი დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად შესწავლილი იქნა ხანდაზმულ პირთა მიმართ 2023 წელს ჩადენილი დანაშაულების საქმეები. საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ტენდენციები და გაანალიზდა კრიმინოლოგიური ასპექტები. აღნიშნული ანალიზები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[12]

2024 წლის 10 აპრილს, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის

[12] https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpf5qXBQ.pdf

მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალთა, მათ შორის, შშმ ქალთა მიმართ ძალადობის, სქესობრივი დანაშაულის, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის, ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული საქმიანობის, აქტუალური საკითხების და გამოწვევების შესახებ.
2024 წლის 13-26 აპრილს საქართველოს პროკურატურის სამი წარმომადგენელი, მენეჯერები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი აშშ-ს საელჩოსა და ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ. ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის მულტიდისციპლინური ორ კვირიანი სასწავლო ვიზიტი მოიცავდა საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების მიმართულებით. სასწავლო ვიზიტში ასევე, მონაწილეობდნენ მოსამართლეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის, პრობაციის სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2024 წლის 16 სექტემბერს დამტკიცდა საქართველოს გენერალურის პროკურორის ბრძანება „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“. ბრძანების შესაბამისად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები სავალდებულო წესით ერთვებიან სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებში, თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის ან არასრულწლოვნის მიმართ, 115-ე, 137-141-ე, 143-ე მუხლით - თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის ან არასრულწლოვნის მიმართ, 143^1-143^2 მუხლებით და 144^1-144^3 , 150^1 მუხლით თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ, გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებში. ამავე ბრძანების თანახმად, კოორდინატორები პრიორიტეტულად ერთვებიან მოწყვლადი კატეგორიის მსხვერპლთა საქმეებში, კერძოდ, ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში, ასევე, ძალადობრივ დანაშაულებში, თუ დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვანია.

2024 წლის 28 ნოემბერს, გენერალური პროკურატურის ორგანიზებით ჩატარდა მულტიუწყებრივი სამუშაო შეხვედრა საქართველოს პროკურატურის, სსიპ ,,სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირების, პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში მიმოიხილეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის პრაქტიკული საკითხები, უწყებების წარმომადგენელთა სამართალწარმოების პროცესში ჩართულობის ასპექტები და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურა, კვლევაზე და ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების მიზნით გეგმავს მონაცემთა ფართომასშტაბიან დამუშავებაზე დაფუძნებულ, ოჯახური დანაშაულის

რეციდივის ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებას.

- **ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლა**

2024 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა გენდერულად მოტივირებული ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეებს. ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ტენდენციები და გაანალიზდა სასამართლოს გადაწყვეტილებები. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ყოველწლიურად იმართება პროკურორებისა და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრები ფემიციდის დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, 2024 წელს გაიმართა 2 სამუშაო შეხვედრა, რომლებსაც სპეციალიზებულ პროკურორებთან და მოსამართლეებთან ერთად, უზენაესი სასამართლოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრებზე განიხილეს ფემიციდის დანაშაულებთან ბრძოლის მიმართულებით არსებული ტენდენციები და გამოწვევები, მათ შორის აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმეთა განხილვის პრაქტიკული ასპექტები.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაული

2024 წელს, ზოგადად სქესობრივი დანაშაულის, განსაკუთრებით კი ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

2021 წლიდან, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე საქართველოს პროკურატურაში სპეციალიზაცია დაინერგა.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგია:



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში, შემდეგია:



2022-2027 წლების პროკურატურის განვითარების სტრატეგიის თანახმად, საქართველოს პროკურატურისათვის სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებებით პროკურატურა ახორციელებდა აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებას, ორიენტირებულია დაზარალებულთა უფლებების აღდგენასა და სწორი პოლიტიკის გატარებაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ დანაშაულის როგორც გამოვლენას, ასევე, პრევენციას.

- 2024 წელს, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეების მონიტორინგი არაერთი მიმართულებით ხორციელდებოდა. შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით გამოძიებადაწყებული საქმეები, გაანალიზდა სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები, რა დროსაც ყურადღება მიექცა სასამართლოს მიდგომებს დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრის, მტკიცებულებების სტანდარტის, არასრულწლოვანი და შშმ დაზარალებულის ჩვენების გაზიარების ნაწილში და სხვა. ასევე კანონიერების და დასაბუთებულობის შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციით წარმოებულ საქმეებზე პროკურორთა მიერ გამოძიების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. საქმეთა შესწავლის საფუძველზე იდენტიფიცირდა სქესობრივი დანაშაულის გამოძიების პროცესში არსებული ტენდენციები.
- ასევე გაანალიზდა სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა ფარგლებშიც სექსუალური ძალადობის დაზარალებულ/მოწმე ბავშვებთან საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩატარდა თბილისის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში. შესწავლილი იქნა ცენტრის ფსიქოლოგების მიერ შედგენილი არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის პირველადი ფსიქოლოგიური შეფასებები, ასევე, გაანალიზდა ფსიქოლოგიური და კომპლექსური ფსიქოლოგიურ/ფსიქიატრიული ექსპერტიზების დანიშვნის პრაქტიკა მათი დანიშვნის მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით. ასევე, დასახელებული ექსპერტიზის დასკვნების მტკიცებულებად გამოყენების პრაქტიკის ანალიზის მიზნით, შესწავლილი იქნა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები.
- სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის დაახლოების მიზნით, 2024 წელს, პროკურატურის ინიციატივით და ევროპის საბჭოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მოსამართლეებთან საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განხილული იქნა სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის პროცესში არსებული პრაქტიკული გამოწვევები. მონაწილეებმა იმსჯელეს სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე, მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებულ სირთულეებზე, მტკიცებულებათა სტანდარტზე, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობაზე სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. შეხვედრის მონაწილეები შეჯერდნენ არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე მართლმსაჯულების ხარისხის

გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვას.

მონიტორინგის, ანალიზის და საკოორდინაციო შეხვედრის ფარგლებში იდენტიფიცირებული საკითხების და შეთანხმებული მიდგომების შესაბამისად, გადამუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წელს პროკურატურამ დაამუშავა სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები სქესობრივ დანაშაულებზე და უზრუნველყო პროკურატურის ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, პროკურატურა სამომავლოდ კვლავ აქტიურად გეგმავს ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს სქესობრივი დანაშაულის შემცირებას და დაზარალებულთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედებიდან დღემდე საქართველოს პროკურატურაში პერმანენტულად ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სისტემის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება და ყველა იმ გამოწვევის იდენტიფიკაცია და მასთან გამკლავების ეფექტიანი გზების ძიება, რაც ხელს უშლის ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებას.

2024 წელს, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაიმართა 12 საქმის განხილვა, რომელთაგან:

- 8 საქმე დაკვალიფიცირებული იყო განზრახ მკვლელობა ან/და განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში;
- 2 საქმე შეეხებოდა ოჯახში მომხდარ ძალადობას;
- 1 საქმე თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და დამამცირებლ მოპყრობას;
- 1 საქმე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

მკვლელობის 8 სისხლის სამართლის საქმიდან:

- 6-საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით);
- 2 საქმეზე მიღებულ იქნა გამამართლებელი ვერდიქტი.

ოჯახში მომხდარი ძალადობის 2 საქმიდან:

- 1 საქმეზე დადგა ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტი,
- 1 საქმეზე გამამტყუნებელი ვერდიქტი.

გამამართლებელი ვერდიქტი დადგა თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამცირებელი მოპყრობის საქმეზე, ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაცვის მხარის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიულ ვერდიქტს დაუჭირა მხარი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმეზე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

2024 წლის მონაცემებით ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეებზე გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენები



2024 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა. კერძოდ, თებერვალში პროკურორების, სასამართლო სისტემისა და ადვოკატთა ასოციაციისა წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა სტუდენტებს შორის მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს ეროვნულ ჩემპიონატი. პროექტში საქართველოს 22 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი მონაწილეობდა. დასკვნითი - იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელსაც საქართველოს გენერალური პროკურორი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, უზენაესი სასამართლოსა და ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. აღნიშნული ღონისძიების პარალელურად პროკურორებმა სხვადასხვა სატელევიზიო პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა, რა დროსაც საზოგადოებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობასა და მოქალაქეების მართლმსაჯულების პროცესში ჩართულობასა და როლზე ესაუბრნენ.

მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ცნობადობისა და საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით პროკურატურა ყოველწლიურად აორგანიზებს შეხვედრებს მოქალაქეთა სხვადასხვა სეგმენტთან. 2024 წლის მარტში შეხვედრა გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან. შეხვედრის მონაწილეებმა დისკუსია გამართეს ინსტიტუტის საჭიროებებისა და მოქალაქეთა ინფორმირების საკითხებზე. საუბარი შეეხო

ასევე იმ დანაშაულებს, რომლებსაც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, მათი მაინკრიმინირებელი შემადგენლობების სპეციფიკა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების გავლენა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესზე.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა

ანალიტიკური/კვლევითი საქმიანობა

2024 წელს, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდა სისხლის სამართლის საქმეებისა და სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თემატური შესწავლა და ანალიზი:

- 2024 წელს განხორციელდა ყველა იმ მატერიალური და საპროცესოსამართლებრივი პრობლემატიკის ანალიტიკა, რომელიც საფუძვლად დაედო 2017 წლიდან 2023 წლის ჩათვლით გამოტანილ ნაწილობრივ და სრულად გამამართლებელ განაჩენებს. ასევე განხორციელდა გასული წლების განმავლობაში, გამამართლებელ განაჩენებთან დაკავშირებით ჩატარებული ყველა კვლევის სისტემატიზაცია და გამოიკვეთა აქტუალური თემები, რომელიც სამართლებრივი პრაქტიკის კუთხით დღემდე გამოწვევად რჩება და რომელთა შესახებაც პერიოდულად უნდა ჩატარდეს დეტალური ანალიზი.

- გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის შემოწმების მიზნით გაანალიზდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციით (სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე, 287[1], 292-ე, 299-ე, მე-300, 301-ე, 303-ე, 304-ე, 304[1] მუხლები) 180 სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. საქმეთა გაანალიზების შედეგად მომზადდა ანგარიში და სისხლის სამართლის 43 საქმეზე შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს გაიგზავნათ სარეკომენდაციო წერილები.

- ხარვეზების იდენტიფიცირებისა და ერთიანი პრაქტიკის დადგენის ხელშეწყობის მიზნით შესწავლილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გამოძიებადაწყებული 525 სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მომზადდა სახელმძღვანელო მითითება, ასევე, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში გაიგზავნა სარეკომენდაციო წერილები საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად ჩატარების შესახებ.

- საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის გზით იდენტიფიცირდეს გამოძიების ხარვეზები. 2024 წელს შესწავლილ იქნა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, სადაც 2023 წლის მეორე ნახევარში სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული გაათავისუფლა დაკავებიდან; უკანონოდ ცნო გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება; უარი თქვა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე; წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესახებ პროკურორების ინფორმირება ხელს უწყობს გამოძიების, საპროცესო

ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებას.

- საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ 2023 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, 2024 წელს მომზადდა მნიშვნელოვანი განმარტებების სახელმძღვანელო დოკუმენტი. აღნიშნული სახელმძღვანელოები პრაქტიკოს პროკურორებს შესაძლებლობას აძლევს ნაკლები დროისა და რესურსების პირობებში, პროაქტიურად ადევნონ თვალი სამოსამართლო პრაქტიკაში არსებულ სიახლეებს. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პროკურორებს სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმათა განმარტებაში, გადაწყვეტილებების, საჩივრებისა და შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

- 2024 წელს მომზადდა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ეფექტიანობის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა 2024 წელს საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლით გამოძიებადაწყებული საქმეები. კვლევის მიზანია შეფასდეს გამოძიების და საპროკურორო ხელმძღვანელობის ხარისხი; დაიდენტიფიცირდეს თუ რა სირთულეს აწყდებიან პროკურორები და გამომძიებლები საქმიანობის პროცესში. სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები პრაქტიკოს პროკურორებს და გამომძიებლებს დაეხმარება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლებაში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, შესაძლოა სამომავლოდ ჩამოყალინდეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმატი და ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიგეგმოს სოციალური კამპანია.

- 2024 წელს განხორციელდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევებზე არსებული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. აღნიშნული კვლევის აქტუალობა განაპირობა უკანასკნელი წლებში საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის შემადგენლობის არაერთგვაროვანი განმარტების შემთხვევებმა. პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შემუშავდეს ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითება, რაც ხელს შეუწყობს საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკაში ერთგვაროვანი, სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას.

- 2024 წელს შესწავლილი იქნა სისხლის სამართლის საქმეები და ამავე საქმეებზე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, რომელიც შეეხებოდა ქმედების თვითნებობად ან მისი მომიჯნავე მუხლებით კვალიფიკაციას. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემატურია თვითნებობის გამიჯვნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნაპოვარი ნივთის შემთხვევებისგან. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ქმედებას მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება და მოხდეს ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესება, იგეგმება სახელმძღვანელო მითითების შემუშავება საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკაში ერთგვაროვანი, სწორი მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 849 თანამშრომელი, მათ შორის, 351 ქალი და 498 მამაკაცი.

849 თანამშრომლიდან:

- 428 პროკურორი. მათ შორის 153 ქალი, 275 - მამაკაცი;
- 85 გამომძიებელი. მათ შორის 10 ქალი, 75 - მამაკაცი;
- 138 პროფესიული საჯარო მოხელე. მათ შორის 119 ქალი, 19 - მამაკაცი;
- 49 სტაჟიორი, მათ შორის 23 ქალი და 26 მამაკაცი;
- 150 ხელშეკრულებით მიღებული თანამშრომელი. მათ შორის 46 ქალი, 104 - მამაკაცი.
- 2024 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინიშნა 80 ახალი თანამშრომელი - 1 პროკურორი, 4 გამომძიებელი, 49 სტაჟიორი, 2 პროფესიული საჯარო მოხელე, 24 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
- 2024 წელს საქართველოს პროკურატურიდან დათხოვნილ იქნა 30 თანამშრომელი - მათ შორის 10 პროკურორი, 4 პროფესიული საჯარო მოხელე და 16 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
- განხორციელდა 33 შიდა საკადრო გადაადგილება (19 პროკურორი, 10 გამომძიებელი, 2 მოხელე, 2 ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).

პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 8 ღია კონკურსი, ხოლო ხელშეკრულებით მისაღები პირის შესარჩევად 2 გამარტივებული კონკურსი.

სტაჟირების სისტემა

საქართველოს პროკურატურის ახალი კადრებით შევსების ძირითადი საფუძველი სტაჟირების სისტემაა. 2023 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი სტაჟიორთა შესარჩევად.

- საქართველოს პროკურატურის საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე დარეგისტრირებული 554 კანდიდატიდან კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება სპეციალობაში) გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი წარმატებით გადალახა და მესამე ეტაპზე (გასაუბრება) გადავიდა 83 კონკურსანტი.
- საქართველოს პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე დარეგისტრირებული 215 კანდიდატიდან კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება სპეციალობაში) გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი წარმატებით გადალახა და მესამე ეტაპზე (გასაუბრება) გადავიდა 12 კონკურსანტი.
- სტაჟიორობის კანდიდატებმა ასევე გაიარეს ინტელექტის საკვლევი ტესტირება.
- 2024 ზაფხულში გაიარეს გასაუბრება სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთან .

აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ კი 2024 წლის 16 სექტემბერს 49 საუკეთესო კანდიდატი, ერთ წლამდე ვადით დაინიშნა საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა დანაყოფში 42 სტაჟიორ- პროკურორის და 7 სტაჟიორ-გამომძიებლების პოზიციაზე.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან საქართველოს პროკურატურის სტაჟიორის ხელფასი კიდევ გაიზარდა და შეადგინა 1270 ლარი.

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

2024 წელს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოწვევების, საჭიროებების, საკანონმდებლო ცვლილებების, სხვადასხვა სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების კვალდაკვალ, როგორც შიდა რესურსის გამოყენებით, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის სასწავლო პროცესი უწყვეტად ხორციელდებოდა როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ ფორმატში.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში პროკურატურის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა 130 სასწავლო აქტივობა, რომელსაც ჯამურად საქართველოს პროკურატურის 819 თანამშრომელი დაესწრო.

- პროკურატურის სტაჟიორთა ორი ჯგუფისათვის (49 სტაჟიორი) ორთვიანი სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსი განხორციელდა.
- სასწავლო პროცესების მდგრადობის უზრუნველყოფის და შიდა ტრენერთა გაძლიერების მიზნით ჩატარდა ორი ტრენერთა ტრენინგი.
- ჩატარდა ევროპის საბჭოს ელექტრონული სასწავლო პროგრამის HELP-ის სამი სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.
- პროფესიული განვითარების ცენტრის ორგანიზებით საქართველოს პროკურატურაში 5 ჯგუფისთვის ინგლისური ენის კურსი მიმდინარეობს.

განხორციელებული სასწავლო ღონისძიებებისა და მონაწილეთა შესახებ სტატისტიკა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 სტრატეგიის პრიორიტეტული თემატური მიმართულებების მიხედვით დეტალურად:



ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიებები

2024 წელს ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდაზე ორიენტირებული 91 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც ჯამურად საქართველოს პროკურატურის 491-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

- ფინანსური დანაშაულების, მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 12 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 43 თანამშრომელი დაესწრო. ტრენინგები შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ფულის გათეთრება, უკანონო აქტივების ამოღება, მართვა და კონფისკაცია, ფულის გათეთრება სპეციფიკურად ნარკოტიკული დანაშაულების საქმეებში, ფინანსური გამოძიება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური პროდუქციით ვაჭრობა და სხვა.
- კორუფციული დანაშაულის თემაზე 7 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელთა ფარგლებში საქართველოს პროკურატურის 23 თანამშრომელი გადამზადდა. ტრენინგები ფარავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტები, კორუფციული რისკების იდენტიფიკაცია და ანალიზი, მტკიცებულებათა მოპოვება კორუფციული დანაშაულის საქმეებზე, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, საერთაშორისო

სამართლებრივი დახმარება კორუფციის საქმეებზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები, სპორტული თამაშებით მანიპულაციის საქმეები, თანამშრომლობა გამომძიებელ ჟურნალისტებთან და სხვა.

- ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 8 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 94 თანამშრომელი დაესწრო. სასწავლო ღონისძიებებზე განხილული იქნა ისეთი საკითხები როგორიცაა ფემიციდის ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები, მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში და სხვა. გამორჩეულად აღსანიშნავია ევროპის საბჭოს დისტანციური სწავლების პლატფორმის HELP-ის კურსი და ერთწლიანი მენტორინგი ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხებზე.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 8 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელთა ფარგლებშიც პროკურატურის 51 თანამშრომელი გადამზადდა. პროკურატურის თანამშრომლებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქცევითი და ფსიქოემოციური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკა, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მიმართულებით, ევროპის საბჭოს მექანიზმები და სტანდარტები, ბავშვთა მიმართ კიბერძალადობა, მსხვერპლ ბავშვთა დაცვა და სერვისები და სხვა. აღნიშნული მოიცავს საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის კურსსაც „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“. ექვსდღიანი ინტენსიური სასწავლო კურსის შედეგად საქართველოს პროკურატურას 21 სპეციალიზებული პროკურორი და 1 სპეციალიზებული გამომძიებელი შეემატა.
- თანასწორობის უფლებასა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემატიკაზე 2 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 19 თანამშრომელი დაესწრო. ჰიბრიდული კურსი რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საფუძვლები, ტოლერანტობა და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია და სხვა. ასევე პროკურატურის თანამშრომელთა ერთი ჯგუფისათვის განხორციელდა HELP-ის სასწავლო კურსი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, რომელიც ხსენებული კატეგორიის დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს ეხებოდა.
- შშმ პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა და შშმ პირთა (მათ შორის შშმ ქალებისა და შშმ ბავშვთა) მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხებზე 2 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 25 თანამშრომელი დაესწრო. პროკურორთა და მოსამართლეთა ორი ჯგუფისათვის ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკას, არსებულ ინსტრუმენტებსა და მიმართულებებს,

შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე წვდომის, არსებული ბარიერებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრის საკითხებს.

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 13 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 66 თანამშრომელი დაესწრო. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სასწავლო ვიზიტის ფორმით ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში პროკურატურის თანამშრომლებმა საერთაშორისო ექსპერტებისაგან მიიღეს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის გამოძიება, უკანონო მიგრაცია ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, მულტიდისციპლინური მუშაობა და ურთიერთდახმარება ტრეფიკინგის საქმეებზე, ტრეფიკინგის გამოძიების ფინანსური ასპექტები, ტრეფიკინგის მსხვერპლთან მუშაობა ტრავმაინფორმირებული მიდგომით და სხვა.
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ელექტრონული მტკიცებულებებისა და კრიპტოვალუტების შესახებ 19 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს პროკურატურის 96 თანამშრომელმა მიიღო. სასწავლო ღონისძიებების ფარგლებში დაიფარა ისეთი საკითხები, როგორიცაა კიბერდანაშაულის სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევები, კიბერდანაშაულის გამოძიების სპეციფიკა, ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვება და დამუშავება, ბლოკჩეინის საფუძვლები, კრიპტოვალუტის მიკვლევა და ამოღება, ღია წყაროებიდან მტკიცებულებების მოპოვება, ხელოვნური ინტელექტის როლი გამოძიებაში, სამართლებრივი დახმარება კიბერდანაშაულის საქმეებზე და სხვა. გამორჩეულად აღსანიშნავია კიბერდანაშაულის და ელექტრონული მტკიცებულებების თემაზე ორი კურსი: 1. კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების საბაზისო კურსი და 2. ელექტრონული მოწყობილობებიდან მტკიცებულებების გამოთხოვის პრაქტიკული კურსი. ორივე სასწავლო კურსი მომზადებულია პროკურატურის შიდა ტრენერების მიერ, რომელთაც გასულ წელს წარმატებით დაასრულეს აშშ-ს საელჩოს და იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელებული გლობალური კიბერ ექსპერტიზის მრჩევლის (GCFA), საერთაშორისო კომპიუტერული დანაშაულისა და ინტელექტუალური საკუთრების (ICHIP) იურისტი მრჩევლის შესაძლებლობების გაძლიერების ეტაპობრივი ერთწლიანი პროგრამა.
- 2024 წელს, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 6 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა და გადამზადდა 10 თანამშრომელი. სასწავლო ღონისძიებების შედეგად მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, საერთაშორისო თანამშრომლობა და ინფორმაციის მიმოცვლა, ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი და სხვა.
- ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდასა და ნარკოპრევენციის თემაზე 7 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა პროკურატურის 31-მა თანამშრომელმა მიიღო. ტრენინგების შინაარსი ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიება, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული შემთხვევის ადგილის მართვა, არალეგალური ნარკოლაბორატორიების გამოვლენა და სხვა.

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 2 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც საქართველოს პროკურატურის 4 თანამშრომელი დაესწრო. ორივე ვებინარი გარემოს წინააღმდეგ მიმართული და მომიჯნავე დანაშაულების შესახებ მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას ემსახურებოდა.

გარდა ზემოაღნიშნული კატეგორიებისა, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ესწრებოდნენ ტრენინგებს ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ.

❖ პროკურორთა, პროკურატურის გამომძიებელთა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა პროფესიული უნარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული სასწავლო ღონისძიებები:

- ➢ პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული 22 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც პროკურატურის 219-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ ღონისძიებებს შორის იყო სწავლების თანამედროვე მიდგომების, ჯგუფის მართვისა და ფასილიტაციის უნარების შესახებ ტრენერთა ტრენინგი, მედია ტრენინგი სპიკერებისათვის, ვორქშოფები პროკურორთა შეფასების ფარგლებში იდენტიფიცირებული ხარვეზების შესახებ, კონფერენცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, ვორქშოფი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისათვის დაზარალებულთან კომუნიკაციის შესახებ, ტრენინგი კვლევითი საქმიანობის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესახებ, კონფერენცია აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ, ტრენინგების ციკლი აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების შესახებ და სხვა.

❖ ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული სასწავლო ღონისძიებები

- ➢ 2024 წელს, ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული 17 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა 109 თანამშრომელმა მიიღო. მოცემული სასწავლო ღონისძიებები სამ თემატურ კატეგორიაში ერთიანდება. ესენია: 1) გენდერული თანასწორობა და გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება; 2) საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება; 3) პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიებები.

გენერალური ინსპექცია

2024 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა 26 სამსახურეობრივი შემოწმება პროკურატურის 30 თანამშრომლის მიმართ.

მათ შორის:

- 2 თანამშრომლის მიმართ დადასტურებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებულ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს.
- 1 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი, რომელიც საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს მიერ სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნის განხილვამდე, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იქნა საქართველოს პროკურატურიდან.
- 19 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი, რომელთაც, მათ მიერ ჩადენილი გადაცდომის მსუბუქი ხასიათის გათვალისწინებით საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს გადაწყვეტილებით, მიეცათ რეკომენდაცია.
- 8 თანამშრომლის მიმართ არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და შეწყდა სამსახურებრივი შემოწმება.

2024 წლის მონაცემებით, გენერალური ინსპექცია, შესაძლო დისციპლინურ დარღვევებზე აწარმოებს 9 სამსახურებრივ შემოწმებას.

საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით არსებობს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი ორი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკის და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. აღნიშნული საბჭოების ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, ხოლო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

2024 წელს, ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 8 სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 10 დეკემბრის №047 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და დისციპლინური გადაცდომის, წახალისებისა და დაწინაურების საკითხები. საბჭომ ასევე განიხილა სტაჟიორთა კონკურსის მეორე ეტაპზე (ტესტირება სპეციალობაში) მონაწილე კანდიდატების საპრეტენზიო განცხადებები და შემდგომ ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან ჩაატარა გასაუბრება. გასაუბრების შედეგების შესაბამისად კი მიიღო რეკომენდაცია სტაჟიორობის კანდიდატების პროკურორისა და გამომძიებლის პოზიციებზე დანიშვნის შესახებ.

სულ 8 სხდომაზე განხილული იქნა პროკურატურის 345 თანამშრომლის საკითხი, კერძოდ:

- მადლობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი 220 თანამშრომლიდან, საბჭომ ერთხმად მიიღო რეკომენდაცია წარმოდგენილი თანამშრომლების წახალისების-მადლობის გამოცხადების შესახებ;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოს რეკომენდაცით 8 თანამშრომელს მიენიჭა „საპატიო თანამშრომლის“ წოდება და დაჯილდოვდა შესაბამისი სამკერდე ნიშნით.
- დისციპლინური სახდელი ვადამდე მოეხსნა 7 თანამშრომელს;
- განხილული იქნა 9 თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 8 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებას, ხოლო ერთი ყოფილი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხის განხილვა მოიხსნა დღის წესრიგიდან და გადაიდოს სხვა დროისათვის;
- საბჭო გაესაუბრა სტაჟიორობის 92 კანდიდატს და მიიღო რეკომენდაცია 50 სტაჟიორის (43 სტაჟიორის - პროკურორის უფლებამოსილებით და 7 სტაჟიორის - გამომძიებლის უფლებამოსილებით) დანიშვნის შესახებ.

გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედმა სათათბირო ორგანომ - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭომ განიხილა შიდა კონკურსზე წარმოდგენილი 9 თანამშრომლის საკითხი, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება.

კერძოდ:

- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, სადაც განაცხადი წარმოადგინა 2 თანამშრომელმა;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორის თანამდებობაზე, სადაც განაცხადი წარმოადგინა 5 თანამშრომელმა;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის

სტრატეგიული განვითარების სამმართველოს პროკურორის თანამდებობაზე, სადაც განაცხადი წარმოადგინა 2 თანამშრომელმა.

საბჭოს მიერ რეკომენდაცია გაეწია 3 კანდიდატს, შესაბამისად, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსის, გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორისა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს პროკურორის თანამდებობებზე დასანიშნად.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

რანგირების საბჭო

საქართველოს პროკურატურაში 2020 წლიდან დაინერგა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემა და საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით, დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან. რანგირების სისტემის ამოქმედებასთან ერთად ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო ,,რანგირების საბჭო“.

2024 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – რანგირების საბჭოს ერთი სხდომა, რომელზეც განხილული იქნა პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისათვის 2022-2023 წლების საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, პირველი და მეორე რანგის მინიჭების საკითხი.

რანგირების საბჭოს მიერ მეორე და პირველ რანგის მისანიჭებლად რეკომენდირებული იქნა 55 თანამშრომელი.

მათ შორის:

- I რანგზე - 13 თანამშრომელი (9 პროკურორი და 4 გამომძიებელი).
- II რანგზე - 42 თანამშრომელი (37 პროკურორი და 5 გამომძიებელი).

გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე, 15 პროკურორს და პროკურატურის 2 გამომძიებელს 2022-2023 წლის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, 2024 წლის 1 იანვრიდან უცვლელად დარჩათ ან/და შეეცვალათ მინიჭებული რანგი, ხოლო 2024 წლის 1 ივნისიდან - 23 პროკურორს და პროკურატურის 8 გამომძიებელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რანგი მინიჭებული ჰქონდა 211 თანამშრომელს. მათ შორის

- პირველი რანგი - 72 თანამშრომელს (მათ შორის: 56 პროკურორს და 16 გამომძიებელს);
- მეორე რანგი - 139 თანამშრომელს (მათ შორის: 115 პროკურორს და 24 გამომძიებელს).

თანამშრომელთა მოტივაციის და სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია პროკურორების სოციალური პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, პროკურატურის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, 2024 წლის 1 იანვრიდან კვლავ მოხდა რანგის დანამატის რაოდენობის ზრდა - პირველი რანგის დანამატი 750 ლარიდან გაიზარდა 900 ლარამდე, ხოლო მეორე რანგის - 375 ლარიდან 450 ლარამდე.

სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს საქმიანობა

2022 წლიდან საქართველოს პროკურატურაში ფუნქციორებს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო - სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო.

საბჭოს მიზნებია- დაზარალებულთა საჩივრების დაჩქარებულ ტემპში განხილვა, სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, პრობლემების დაიდენტიფიცირება და შესაბამისი წინადადებების შემუშავება სამომავლოდ ხარვეზების თავიდან ასაცილებლად. საბჭო გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით ან/და დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე განიხილავს განსაკუთრებული სირთულის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებს.

2024 წლის დასაწყისში, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით, სიცოცხლის ხელყოფის საქმეების გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებით. წლის განმავლობაში ჩატარდა 34 სამუშაო შეხვედრა, რა დროსაც განხილული იყო დანაშაულის კვალის ფიქსაციის, ამოღების, სათანადო პირობებში შენახვისა და გამოკვლევის საკითხები. ასევე სამედიცინო, ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური, კომპიუტერული, ფსიქიატრიული და სხვა საექსპერტო კვლევების პრაქტიკა და გარემოებები. სამუშაო შეხვედრების მთავარი ამოცანა იყო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში მონაწილე პირთა ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა და სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება. სამუშაო შეხვედრის პროცესში ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტი, რომელმაც სამუშაო ჯგუფის წევრებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის მიზანშეწონილობაზე. ამ ეტაპისთვის დასახული სამუშაო პროცესი დასკვნით ეტაპზე გადავიდა.

გენერალური პროკურორის დავალებით და დაზარალებულთა მომართვით, სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე საჩივრების განმხილველ საბჭოს მიერ სულ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა 39 საქმე. საქმეების განხილვის ფარგლებში განხორციელდა როგორც უშუალოდ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა, ასევე, განმცხადებლებთან, საქმის მწარმოებელ გამომძიებლებთან და საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორებთან გასაუბრება. საერთო ჯამში საბჭოს მიერ 29 სისხლის სამართლის საქმეზე გაიცა 57 რეკომანდაცია.

საბჭოს მიერ განხილული საჩივრები



საბჭოს მიერ განხილული საქმეებიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.109-ე მუხლით დაკვალიფიცირებული იყო 2 სისხლის სამართლის საქმე, 108-ე და 109-ე მუხლებით - 11, 115-ე მუხლით - 18, 116-ე მუხლით - 3, 117-ე მუხლით - 1, 126[1]-ე მუხლით - 1, 240-ე მუხლით - 1, 276-ე მუხლით - 1 და 342-ე მუხლით - 1 საქმე.

სისხლის სამართლის საქმეების კვალიფიკაცია



საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, საბჭოს წევრები პირადად, არაერთხელ შეხვდნენ დაზარალებული მხარის წარმომადგენელ განმცხადებლებს და მათი ინტერესების დამცველებს, რომელთა მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციების შემუშავებისას. საერთო ჯამში განმცხადებლებთან განხორციელდა 74 შეხვედრა. საბჭოს მიერ მხარდაჭერილი რეკომენდაციები გაეგზავნათ პროკურატურის უშუალოდ იმ დანაყოფებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ. საბჭოს საქმიანობა არ შემოფარგლულა რეკომენდაციის გაგზავნით და თითოეული რეკომენდაციის სწრაფად და ეფექტურად შესრულებისთვის, საბჭო მუდმივ რეჟიმში ახორციელებს განგრძობად მონიტორინგს.

საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეებზე, დამნაშავე პირთა იდენტიფიცირებისა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა ექსპერტიზები, დაიგეგმა სამართლებრივი დახმარების, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და სხვა ღონისძიებების შედეგად მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების გზები.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2024 წელს საქართველოს პროკურატურა აქტიურად მონაწილეობდა გაეროსა და ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კომიტეტებში (CoE CCPE, CDPC, PC-OC, TC-Y, UN AHC, UNTOC, UNCAC).

2024 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის კომიტეტის (TC-Y) ბიუროში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი მეორე ვადით იქნა არჩეული.

ამავე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები ინტენსიურად უწევდნენ საექსპერტო მხარდაჭერას ცალკეული განვითარებადი ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაძლებლობების გაძლიერების პროექტებს, მათ შორის გაეროსა (UNODC) და ეუთოს (OSCE) ინიციატივებში.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

ევროპის საბჭოს კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფთან *(GRECO)* თანამშრომლობა

2024 წლის მარტში, კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფმა *(GRECO)* შესრულებულად ცნო შეფასების მე-4 რაუნდის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულების ყველა პროკურორზე გავრცელების თაობაზე. აღნიშნულის შედეგად, პროკურატურის ნაწილში 100%-იანი წარმატებით დასრულდა GRECO-ს მე-4 რაუნდის შეფასების დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესი. კერძოდ, ჯამში არსებობდა GRECO-ს 6 რეკომენდაცია პროკურატურის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდის საკითხებზე, რომლებიც 2018-2023 წლებში გატარებული რეფორმების საფუძველზე სრულად შესრულდა.

ასევე, 2024 წლის მარტში, GRECO-მ საქართველოს მე-5 რაუნდის შეფასების ანგარიში დაამტკიცა, რომელიც ეხება კორუფციის პრევენციას და კეთილსინდისიერების წახალისებას ცენტრალურ მთავრობასა და სამართალდამცავ ორგანოებში. საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული შეფასების პროცესში. შეფასებისთვის საინტერესო საკითხებზე GRECO-სთვის ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა წერილობით და ზეპირად, მათ შორის საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების GRECO-ს შემფასებლებთან პირისპირ შეხვედრებში და პლენარულ სხდომაში მონაწილეობის საშუალებით.

GRECO-ს მე-5 რაუნდის შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებიდან საქართველოს პროკურატურას იდენტიფიცირებული აქვს 4 რეკომენდაცია, რომელებიც სხვადასხვა მოცულობით ეხება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. ამჟამად, პროკურატურის მანდატის ფარგლებში, მიმდინარეობს მათ შესრულებაზე მუშაობა.

კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის *(UNCAC)* შესრულების შეფასებაში მონაწილეობა

2024 წელს, საქართველოს პროკურატურა მონაწილეობდა კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის *(UNCAC)* საქართველოს მიერ იმპლემენტაციის შეფასებაში, რომელსაც ატარებდა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი *(UNODC).* შეფასების ფარგლებში, UNODC-ის ექსპერტებმა მათ შორის შეისწავლეს პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმი.

საქართველოს პროკურატურამ შემფასებლებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია შეფასებით გათვალისწინებულ საკითხებზე, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით, მათთან პირისპირ შეხვედრების დროს. მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება შეფასების ანგარიში, საქართველოს პროკურატურა მიიღებს სათანადო ზომებს, რათა უზრუნველყოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა *(UNCRC)* და მისი დამატებითი ოქმების შესრულებაში მონაწილეობა

2024 წელს, საქართველოს პროკურატურა მონაწილეობდა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციისა *(UNCRC)* და მისი დამატებითი ოქმების შესრულების შესახებ საქართველოს გაერთიანებულ მე-5 და მე-6 პერიოდული ანგარიშებთან დაკავშირებით გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის *(CRC)* ინფორმაციის წარდგენაში და აღნიშნული ანგარიშების მითითებულ კომიტეტში განხილვაში. ამ პროცესში საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი საკითხები შეეხებოდა ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობას, არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებას და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის *(ICESCR)* შესრულებაში მონაწილეობა

2024 წელს, საქართველოს პროკურატურა ჩართული იყო „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის *(ICESCR)* შესრულების თაობაზე საქართველოს მე-3 პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის (CESCR) მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებაში და კომიტეტისთვის წარდგენაში. აღნიშნული ინფორმაცია შეეხებოდა კორუფციის, დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს და მიღწეულ შედეგებს.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სხვა შემთხვევები

2024 წელს, საქათველოს პროკურატურა ასევე აქტიურად თანამშრომლობდა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასთან *(CEPEJ),* ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოსთან *(CCPE),* ქონების ჩამორთმევის საკითხებზე ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტთან *(PC-RAC),* ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტთან *(MONEYVAL),* სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის ექსპერტთა კომიტეტთან *(PC-ENV),* ევროპოლთან *(EUROPOL),* ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან *(OSCE)*, გაეროს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატთან *(CTED)*, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან *(UNICEF).*

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურა შესაბამის ორგანიზაციებს, მათი მანდატის მიხედვით, წარუდგენდა ინფორმაციას საქართველოს პროკურატურის საქმიანობის, მიღწეული შედეგების და კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების შესახებ. ამასთან, CCPE-სთან, PC-RAC-თან და PC-ENV-თან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურა მონაწილეობდა საერთაშორისო ინსტრუმენტების და რეკომენდაციების შემუშავებაში საპროკურორო სტანდარტების, დანაშაულებრივი ქონების მოძიება-ჩამორთმევის და სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის საკითხებზე.

საერთაშორისო ხელშეკრულებები

ევროპის საბჭოს ხელშეკრულებები

საქართველოს პროკურატურის ინიცირებით, 2024 წლის 17 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციის მეოთხე დამატებით ოქმს და კიბერდანაშაულის შესახებ 2001 წლის კონვენციის მეორე დამატებით ოქმს

გაძლიერებული თანამშრომლობისა და ელექტრონული მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმი ითვალისწინებს კონვენციისა და მისი სამი დამატებითი ოქმის დებულებების შევსებასა და მოდერნიზაციას, რათა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კვალდაკვალ მოხდეს მათი ადაპტაცია თანამედროვე გამოწვევებთან და საჭიროებებთან. ცვლილებები ძირითადად ეხება ექსტრადიციის ფარგლებში ხანდაზმულობის ვადებს, სახელმწიფოთა შორის კომუნიკაციის თანამედროვე არხების და საშუალებების გამოყენებას, წარსადგენ დოკუმენტაციას, სპეციალობის წესს და ტრანზიტის საკითხებს.

კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი გაძლიერებული თანამშრომლობისა და ელექტრონული მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე ამარტივებს და აჩქარებს საზღვრებს მიღმა არსებული ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების პროცესს. კიბერდანაშაულის მზარდი მაჩვენებლებისა და საერთაშორისო ელემენტების მატების ფონზე, იგი მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობებს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალი რეგულაციების თანახმად, ფართოვდება სამართალდამცავ ორგანოებსა და უცხოურ ინტერნეტ მომსახურებების მიმწოდებელ კომპანიებს შორის თანამშრომლობის, გადაუდებელ შემთხვევებში ქვეყნებს შორის ელექტრონული მტკიცებულებების სასწრაფო გაცვლისა და კომპლექსური კიბერდანაშაულის საქმეებზე მულტიეროვნული საგამოძიებო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობები. გაუმჯობესებული სამართალდაცვითი მექანიზმების პარალელურად, დოკუმენტი ადამიანის უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მყარ სამართლებრივ ჩარჩოს აწესებს ოქმით გათვალისწინებული სამართალდაცვითი ფუნქციების აღსრულებისას.

გაეროს ხელშეკრულებები

საქართველოს პროკურატურა 2021-2024 წლებში ინტენსიურად მონაწილეობდა კიბერდანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციის პროექტის მომზადების პროცესში. 2024 წლის სექტემბერში კონვენციის პროექტზე მუშაობა წარმატებით დასრულდა. მოლაპარაკებების პროცესში, საქართველოს პრიორიტეტებს წარმადგენდა კიბერდანაშაულთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და ადამიანის უფლებების მყარი გარანტიების არსებობა კონვენციაში.

ონლაინ მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან უცხოური ონლაინ მომსახურების მომწოდებლებისგან რეგულარულად იღებს ელექტრონულ მტკიცებულებებს. დღეის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურა წარმატებით თანამშრომლობს დაახლოებით 20 საერთაშორისო ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელ კომპანიასთან. ამ გზით მიღებული მონაცემები ძირითადად მოიცავს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას და ცალკეულ შემთხვევებში, ტრანზაქციულ მონაცემებს.

2024 წელს უცხოური ონლაინ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისგან 126 სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდა თანამშრომლობა, რაც 7%-იანი ზრდაა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. ონლაინ მომსახურების მომწოდებელმა კომპანიებმა 2024 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების 93% დააკმაყოფილეს.

ექსტრადიცია

2024 წელს საქართველოდან უცხო სახელმწიფოში 105 პირის ექსტრადიცია იქნა დასაშვებად ცნობილი საქართველოს სასამართლოების მიერ, რაც რეკორდული მაჩვენებელია და წინა წლის მაჩვენებელს 23.5%-ით აღემატება, ხოლო 5 წლიან ჭრილში 67%-იანი ზრდაა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტულობის ამგვარი ზრდა, ადამიანური რესურსების რაოდენობის ზრდის გარეშე გახდა შესაძლებელი, მოტივაციის მექანიზმების დანერგვისა და პროცესების ოპტიმიზაციის გზით.

იმავე პერიოდში უცხო სახელმწიფოებში გაიგზავნა ექსტრადიციის 20 შუამდგომლობა, რაც 17%-იანი ზრდაა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა

2024 წელს საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისთვის 298 საქმეზე მიმართეს უცხო სახელმწიფოებს, რაც 61%-იანი მატებაა წინა წლის მაჩვენებლთან შედარებით.

იმავე პერიოდში საქართველოს პროკურატურამ უცხო სახელმწიფოებისგან საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების 1338 შუამდგომლობა მიიღო, რაც 6%-იანი მატებაა წინა წლის მაჩვენებლთან შედარებით.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება. შესაბამისად, უწყება მუდმივად ზრუნავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებაზე და მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

კოორდინატორის სამსახურის კიდევ უფრო ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“ საქართველოს გენერალურის პროკურორის 2024 წლის 16 სექტემბრის № 217გ ბრძანებით, განისაზღვრა იმ დანაშაულთა წრე და მოწყვლად პირთა კატეგორია, რა შემთხვევებშიც, პროკურორის მიერ, სავალდებულო წესით ან პრიორიტეტულად უნდა მოხდეს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა.

2024 წელს, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 5161 პირს.

პირთა რაოდენობა წლების მიხედვით



5161 მოქალაქიდან ვინც 2024 წელს ისარგებლა კოორდინატორის სამსახურით:



2024 წელს, წინა წლების მსგავსად კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ჩადენილი მუქარის საქმეების მოწმეებსა და დაზარალებულებს. დეტალური მუხლობრივი სტატისტიკა შემდეგია[13]:



[13]მონაცემები წარმოდგენილია დანაშაულების მიხედვით. შესაბამისად, მათი რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას.

2024 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, მაღალია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, 2024 წელს კოორდინატორები ჩართული იყვნენ 11[1] და 126[1] მუხლებით დაკვალიფიცირებულ 1721 სისხლის სამართლის საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 2227 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის, 1968 იყო ქალი, 309- კაცი.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში კოორდინატორის ჩართულობა



ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მზარდია კოორდინატორების ჩართულობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში. კერძოდ, კოორდინატორები ჩართული იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ 174 საქმეში, რომელთა ფარგლებში მხარდაჭერა გაუწიეს 312 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის, 260 იყო ქალი, 52 -კაცი.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი



2024 წელს კვლავაც მაღალია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეებში. კერძოდ, კოორდინატორები ჩართული იყვნენ 521 სისხლის სამართლის საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 577 დაზარალებულს, მათგან 550 იყო ქალი, ხოლო 27-კაცი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი



2024 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კოორდინატორების ჩართულობა ისეთ საქმეებში, სადაც პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“ საქართველოს გენერალურის პროკურორის 2024 წლის 16 სექტემბრის № 217გ ბრძანებამ, რომლითაც განისაზღვრა რომ პროკურორმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა სავალდებულო წესით უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მსხვერპლის სისხლის სამართლის საქმეში.

2024 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართული იყვნენ 81 სისხლის სამართლის საქმეში, სადაც მოწმე ან/და დაზარალებული იყო შშმ პირი. კოორდნატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 93 შშმ პირს. მათგან 82 იყო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაზარალებული/მოწმე, ხოლო 11 - განმცხადებელი. 93 პირიდან 51 იყო ქალი, 42 - კაცი.

კანონის მიზნის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას პროკურორები ძირითადად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომელიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

2024 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 309 დაზარალებულთან.

309 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 203 (66%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 54 (17%) - მშობელი, 25 (8%) - შვილი, 21 (7%) - და/ძმა, 6 (2%) - პაპა/ბებია.



309 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორებმა შესთავაზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 122-მა (39%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 187-მა (61%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით.



187 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 55 (29%)-მა დაზარალებულმა, კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ მისცა 97 (52%)-მა, 15 (8%) მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 20 (11%) დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო

საჯარო ინფორმაციის გაცემა

საქართველოს პროკურატურაში 2024 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ განხილული იქნა 357 განცხადება.

2024 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები



საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- 17 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მოთხოვნა უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას;
- 9 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სცილდებოდა საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილების ფარგლებს;
- 5 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იყო სხვა პირის პერსონალური მონაცემები და აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის უარი ეფუძნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 37[1] და 44-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის ინტერესს;

- 32 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურაში დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო წარდგენილი იყო სამი ადმინისტრაციული საჩივარი, საიდანაც 2 არ დაკმაყოფილდა, ხოლო ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამასთან, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარდგენილია და მიმდინარეობს 11 სარჩელის განხილვა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ნაწილობრივ უარის თქმისას საქართველოს პროკურატურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნა ნაწილობრივ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას. ამასთან, ნაწილობრივ მოთხოვნილ იქნა ისეთი ინფორმაცია, რომლის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებდა ან საკითხი სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას, შესაბამისად დაინტერესებულ პირს მიეწოდა საქართველოს პროკურატურაში დაცული ინფორმაცია და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად.

განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლების მოთხოვნებს.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2024 წელს არ გამოვლენილა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება

საქართველოს პროკურატურისთვის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. შესაბამისად, საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოებისთვის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით, პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს პროკურატურის

მიერ ბოლო წლებში გავრცელებული პრესრელიზების, ვიდეოკომენტარების და ჩატარებული ბრიფინგების რაოდენობა.

2024 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა:

- 280 პრესრელიზი/განცხადება;
- ჩატარდა 8 ბრიფინგი;
- მომზადდა და გაშუქდა 83 ვიდეოკომენტარი;
- დამზადდა 3 კლიპი;
- დამზადდა 102 ვიდეომასალა.

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო მოტივაცია უწყების საქმიანობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება, სოციალური გარანტიების გაუმჯობესება და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მათი შრომის ანაზღაურების გაზრდა, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და სამსახურებრივი საქმიანობისთვის საჭირო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობებით აღჭურვა.

2024 წლიდან პროკურატურის თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგოები ძირითადად გაიზარდა 10%-ით, ხოლო ხელშეკრულებით დასაქმებულ დაბალ ხელფასიან თანამშრომლებზე 20%-ით. მოწესრიგდა პროკურატურის სისტემაში დასაქმებული მძღოლების ხელფასები.

2024 წლიდან, 2023 წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა პირველი და მეორე რანგისთვის დაწესებული სახელფასო დანამატი და შეადგინა პირველ რანგზე 900 ლარი და მეორე რანგზე 450 ლარი.

2024 წლიდან დაწესდა წელთა ნამსახურობის დანამატები საქართველოს პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეებზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წლიდან გაიზარდა წელთა ნამსახურობის დანამატის პროცენტული ოდენობები შემდეგი პროცენტულობით 7% (3-დან -10 წლამდე ნამსახურობისას), 12% (10-დან - 20 წლამდე ნამსახურობისას) და 17% (20 წელი და მეტი სტაჟის შემთხვევაში).

2024 წელს განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სივრცითი მოწყობა და ძველი ამორტიზებული ლიფტების ჩანაცვლება ახალი თანამედროვე ლიფტებით. სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის და მცხეთის პროკურატურების შენობებში და დაიწყო ბოლნისის რაიონული პროკურატურის შენობის სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო სანუშაოები (ღირებულებამ ჯამში შეადგინა 2 000 000.00 ლარი).

2024 წელს დასრულდა პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის ახალი თანამედროვე საოფისე კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თანამედროვე, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეების მოწყობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.